ეთიკის კომისიის

გადაწყვეტილება

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ინგა სეხნიაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ია გაბედავა - კოლეგიის წევრი

ირაკლი კორძახია - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ი. ი.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 16.10.2019

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 124/19

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ნ. ს.-ის /სიითი №/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ნ. ს.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია**

1.1 2019 წლის 16 ოქტომბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ი. ი.-მა და მოითხოვა ადვოკატ ნ. ს.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2019 წლის 11 ოქტომბერს ის მიდიოდა საქართველოს საპატრიარქოში და მეტროს შესასვლელთან, თავისუფლების მოედანზე, შეხვდა ადვოკატი ნ. ს.. საჩივრის ავტორის თანახმად, ადვოკატმა მას დაუწყო ხმამაღლა საუბარი, ყვირილი, თუმცა ამას ყურადღება არ მიაქცია და გზა განაგრძო. ი. ი.-ის განცხადებით, ადვოკატი მას გაჰყვა უკან და სრულიად მოულოდნელად დაესხა თავს, კერძოდ კი მიაყენა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა. საჩივრის ავტორის განცხადებით, ეს მისთვის სრულებით მოულოდნელი იყო და გადაწყვიტა 112–ში დარეკვა. ამ დროის განმავლობაში ადვოკატი განაგრძობდა მისთვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენებას, ასევე ლანძღავდა საპატრიარქოს, პატრიარქს და იწყევლებოდა. საჩივრის ავტორის ცნობით, ადვოკატმა დაწყევლა მისი შვილები და განუცხადა, რომ მისი ოჯახი ჯოჯოხეთის ცეცხლში დაიწვებოდა. ადვოკატმა კონფლიქტის დროს საჩივრის ავტორს საზოგადოების წინაშე დააბრალა მისი შვილის მკვლელობა.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა მას მიაყენა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა, შელახა მისი უფლებები, იძალადა მასზე ფსიქოლოგიურად, დაემუქრა მის ოჯახს და ყოველგვარი მტკიცებულებების გარეშე დასწამა მას ცილი საზოგადოების წინაშე.

1.4 საჩივრის ავტორი უთითებს, რომ გარკვეული პერიოდი მუშაობდა № სასჯელაღსრულების დაწესებულებაში განყოფილების უფროსად, 2009 წლიდან იცნობდა ნ. ს.-ს და იცოდა, რომ ის იყო ადვოკატი.

1.5 2019 წლის 9 დეკემბერს ეთიკის კომისიის სხდომაზე საჩივრის ავტორმა განმარტა, რომ ადვოკატი ნ. ს., 2019 წლის 11 ოქტომბერს მას ესაუბრებოდა, როგორც ფიზიკური პირი და არა, როგორც ადვოკატი. ადვოკატი თავად საჩივრის ავტორის შეკითხვას იყო თუ არა ადვოკატი, არ პასუხობდა და აგრძელებდა მისთვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენებას.

2. ადვოკატის პოზიცია

2.1 ადვოკატ ნ. ს.-ის თანახმად, ის 2010 წლიდან იცნობს საჩივრის ავტორს, თუმცა არ ჰქონდა მასთან ურთიერთობა. მან საჩივრის ავტორი გაიცნო ეპისკოპოს ი. ს.-ის ლოცვაზე. ადვოკატის თანახმად, მეუფე ი.-მა ამხილა ი. ი. და მისი თანამზრახველები სხვადასხვა დანაშაულებებში, მათ შორის ეკლესიის მრევლისა და ქართველი ხალხის მტრობაში, რის გამოც საჩივრის ავტორი და მისი თანამზრახველები მტრობდნენ მეუფე ი.-ს და თავად მას, რადგანაც ის მეუფის კურთხევით ასაჯაროვებდა ამ მხილებებს.

2.2 ადვოკატ ნ. ს.-ის თანახმად, მეუფე ი. მისი მოძღვარია და დარწმუნებულია მისი ყოველი სიტყვის ჭეშმარიტებაში, რადგანაც მას ჰქონდა ღვთისგან ბოძებული განჭვრეტადობის ნიჭი, კერძოდ კი იცოდა ადამიანების წარსული და აწმყო.

2.3 ადვოკატ ნ. ს.-ის თანახმად, 2019 წლის 11 ოქტომბერს ი. ი.-თან შეხვედრისას თავად საჩივრის ავტორმა მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა.

II სამოტივაციო ნაწილი:

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ნ. ს. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - სისხლის სამართალი.

3.2 ი. ი.-მა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2019 წლის 16 ოქტომბერს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2019 წლის 11 ოქტომბერს. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32.2 მუხლის შესაბამისად დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის ვადა.

4. შემაჯამებელი დასკვნა

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ნ. ს.-ის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ” დებულების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა” ქვეპუნქტის საფუძველზე.

5. სამართლებრივი შეფასება

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატება შემდგომში: ადვოკატმა მას მიაყენა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა, დაემუქრა მის ოჯახს და ყოველგვარი მტკიცებულებების გარეშე დასწამა მას ცილი საზოგადოების წინაშე.

5.2 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის პრეამბულის მიხედვით, ადვოკატთა ეთიკის კოდექსი განსაზღვრავს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმებსა და ქცევის წესებს. ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ,,ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება: ა) ამ კანონის მე-5 -მე-9 მუხლებით გათვალისწინებულ მოვალეობათა შეუსრულებლობისთვის; ბ) ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევისათვის." კანონის მე-5-მე-9 მუხლები, ისევე როგორც ეთიკის კოდექსის ნორმები, განსაზღვრავენ ადვოკატის ქცევის წესებს კლიენტების, კოლეგების, სასამართლოსა და პროცესის მონაწილე სხვა პირთა მიმართ. თუმცა, როდესაც ადვოკატი ახორციელებს პროფესიულ საქმიანობას, მას გაცილებით მეტი პასუხისმგებლობა აკისრია, რადგანაც ადვოკატის საქმიანობა ერთ–ერთი საკვანძოა დემოკრატიული საზოგადოების ფორმირების პროცესში და ის ვალდებულია არ განახორციელოს ისეთი ქმედებები, რაც მნიშვნელოვნად შელახავს ადვოკატის პროფესიის ღირსებას და დააკნინებს საზოგადოების ნდობას მისდამი.

5.3 ეთიკის კომისიამ 2012 წლის 27 მარტის გადაწყვეტილებაში დისციპლინური საქმეზე №025/12 დაადგინა: „ადვოკატმა ნებისმიერ ვითარებაში უნდა შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, გამოიჩინოს მოთმინება და პატივი სცეს თავის საქმიანობას, არ უნდა მოიქცეს იმგვარად, რაც შეუფერებელია ადვოკატის თავისუფალი პროფესიის სტატუსისათვის, ადვოკატი უნდა შეეცადოს თავი აარიდოს იმგვარ ქმედებასა და გამონათქვამებს, რაც არ შეესატყვისება ადვოკატის მაღალ როლს საზოგადოებაში და ხელს შეუშლის ამ პროფესიისადმი საზოგადოებრივი ნდობის მოპოვებას." თუმცა სავარაუდო დარღვევის შეფასებისათვის განმსაზღვრელია არა ის, რომ პირი ადვოკატს წარმოადგენდეს, არამედ ის ადვოკატის სახით უნდა მოქმედებდეს და სადაო ქცევისას ჰქონდეს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის პრინციპების დაცვის ვალდებულება.

5.4 მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ ის ადვოკატ ნ. ს.-ს ჯერ კიდევ 2009 წლიდან იცნობდა და იცოდა, რომ ის იყო ადვოკატი, მაგრამ მასთან შეხვედრისას მომხდარ კონფლიქტში ადვოკატი ნ. ს. არ ურთიერთობდა მასთან პროფესიული საქმიანობიდან ან სტატუსიდან გამომდინარე. იგი საუბრობდა, როგორც ჩვეულებრივი ფიზიკური პირი, შესაბამისად, ის ამ შემთხვევაში არ მოქმედებდა ადვოკატის სტატუსით, მასზე არ ვრცელდებოდა პროფესიული ეთიკის სტანდარტები და ეთიკის კომისია მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს იმსჯელოს ფიზიკური პირი - ნ. ს.-ის ქცევებზე.

5.5 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე–9 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით, რომლის მიხედვით „ეთიკის კომისიის მიერ საჩივარზე წარმოება წყდება და საჩივარი არსებითად არ განიხილება, თუ საჩივრის განხილვა არ შედის ეთიკის კომისიის კომპეტენციაში." შესაბამისად, საჩივრის ავტორს უარი უნდა ეთქვას საჩივრის განხილვაზე.

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32–ე, 33–ე მუხლებით; დებულების 40.1 მუხლით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №124/19 ადვოკატ ნ. ს.-ის /სიითი №/ მიმართ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ინგა სეხნიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ია გაბედავა/

კოლეგიის წევრი: /ირაკლი კორძახია/